ანგარიში

2018 წელი, II კვარტალი

შესავალი ..... 2 გვ.

მარკეტინგი და პოპულარიზაცია ..... 3 გვ.

ექსპორტი ..... 18 გვ.

ვენახების კადასტრი..... 19 გვ.

ქართული ვაზის კულტურის კვლევა..... 19 გვ.

ლაბორატორიული შემოწმება ..... 20 გვ.

სერტიფიცირება ..... 21 გვ.

სახელმწიფო კონტროლი და ინსპექტირება ..... 21 გვ.

მარშალ გელოვანის 6, 0159, საქართველო, თბილისი. T: +995 32 974103. www.georgianwine.gov.ge

E: info.georgianwine@georgianwine.gov.ge

შესავალი

სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს საქმიანობის ძირითადი მიმართულება საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობის დარგის განვითარების ხელშეწყობაა.

2018 წლის მეორე კვარტალში სააგენტო ზემოთ ჩამოთვლილ საქმიანობას საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, მეღვინეობის სფეროში მოქმედ სამთავრობო, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და კერძო კომპანიებთან თანამშრომლობით ახორციელებდა.

საანგარიშო პერიოდის ძირითადი საქმიანობა მოიცავდა შემდეგ მიმართულებებს:

- მარკეტინგი და პოპულარიზაცია;
- ქართული ღვინის კულტურის კვლევა და პოპულარიზაცია;
- სამომხმარებლო ბაზრის დაცვა დაბალხარისხიანი და ფალსიფიცირებული პროდუქციისგან;
- მევენახეობის კადასტრის პროგრამის განხორციელება და დარგის განვითარებასთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებები.

2018 წლის მეორე კვარტალი გამოირჩეოდა შემდეგი წარმატებების ფონზე:

- ქართული ღვინის პოპულარიზაციისა და ცნობადობის გაზრდის მიზნით, ქართული ღვინო წარმოდგენილი იყო 100-ზე მეტ ღონისძიებაზე (გამოფენა, დეგუსტაცია, პრეზენტაცია, სემინარი და ა.შ). შემდეგ ქვეყნებში: აშშ, ჩინეთი/ჰონგ-კონგი, დიდი ბრიტანეთი, შვედეთი, დანია, გერმანია, იაპონია, პოლონეთი და სხვა.
- დაფიქსირდა ღვინის მზარდი ექსპორტი - სულ მსოფლიოს 48 ქვეყანაში ექსპორტირებულია 38,2 მლნ ბოთლი ღვინო.
- გურჯაანის მუნიციპალიტეტში დაიწყო ვენახების კადასტრის პროგრამის განხორციელება

მარკეტინგი და პოპულარიზაცია

ქართული ღვინის წარდგენა იაპონიაში

11-13 აპრილს იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში გამართულ საერთაშორისო გამოფენაში ''Wine and Gourmet Japan 2018'' ქართული ღვინის მწარმოებელი 16 კომპანია მონაწილეობდა.

გამოფენის ფარგლებში ქართული ღვინის სემინარი-დეგუსტაცია „საქართველო - ღვინის აკვანი" გაიმართა, რომელსაც ღვინის ეროვნული სააგენტოს მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი ირაკლი ჩოლობარგია უძღვებოდა. ღვინის ეროვნული სააგენტოსა და იაპონიაში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით, გამოფენაში მონაწილეობდნენ შემდეგი კომპანიები: „ვინაგორა", „შუმი", „ვაინმენი", „ჩიგოგიძის ღვინოები", „ბესინი", „კახური ტრადიციული მეღვინეობა", „შილდა", „მეღვინეობა დანიელი", „მილდიანი", „დუგლაძეების ღვინის კომპანია", „მეღვინეობა ხარება", „გიუაანი", „მარანული", „თბილღვინო", „შატო მუხრანი" და GWS. გამოფენასა და ქართული ღვინის დეგუსტაციას, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი იაპონიაში ლევან ცინცაძე დაესწრო.

ქართული ღვინის წარდგენა დანიაში

23 აპრილს ქართული ღვინო დანიის დედაქალაქ კოპენჰაგენში გამართულ ყოველწლიურ ღვინის გამოფენაზე ,,Copenhagen Wine Fair'' იყო წარმოდგენილი. გამოფენას დანიის სამეფოსა და ისლანდიის რესპუბლიკაში საქართველოს სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩი გიგი გიგიაძე დაესწრო. საქართველო აღნიშნულ გამოფენაში პირველად მონაწილეობდა, რაც მნიშვნელოვანია ქართული

ღვინის საექსპორტო ბაზრების გაფართოებისა და დივერსიფიკაციის მიზნით. გამოფენის ფარგლებში ქართული ღვინის სემინარი-დეგუსტაციაც მოეწყო.

ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, გამოფენის სტუმრებს შესაძლებლობა მიეცათ დაეგემოვნებინათ შემდეგი ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანიების სხვადასხვა ღვინოები: ,,მეღვინეობა ვაზიანი'', ,,ბრუალე/ქაპ ჯორჯია'', ,,მოსმიერი'' და ,,წინანდლის ძველი მარანი".

დეგუსტაციაქართული ღვინის წარდგენა ლონდონში

24 აპრილს დიდი ბრიტანეთის დედაქალაქ ლონდონში პრესისა და ღვინის ინდუსტრიის წარმომადგენლებისთვის ქართული ღვინის წარდგენა-დეგუსტაცია („Press and Trade Tour") გაიმართა. ღონისძიება ღვინის ეროვნული სააგენტოსა და სააგენტოს კონტრაქტორი კომპანია „Swirl Wine Group"-ის ერთობლივი ორგანიზებით მოეწყო და მასზე წარმოდგენილი იყო 100-ზე მეტი სხვადასხვა დასახელების კლასიკური და ქართული ტრადიციული მეთოდებით დამზადებული ღვინოები.ქართული ღვინის წარდგენას დიდ ბრიტანეთში საქართველოს ელჩი თამარ ბერუჩაშვილი დაესწრო. ღონისძიების ფარგლებში კომერციული პირებისთვის (ღვინის იმპორტიორები, ბაიერები, რესტორნების ქსელების წარმომადგენლები) ქართული ღვინის სემინარი ("How Georgian Wines can revolutionise your wine list") გაიმართა, რომელსაც „Swirl Wine Group"-ის წარმომადგენლები, ღვინის მაგისტრი სარა ებოტი და ღვინის მწერალი რობერტ ჯოზეფი უძღვებოდნენ.

ქართული ღვინის წარდგენა შვედეთში

24-27 აპრილს შვედეთის დედაქალაქ სტოკჰოლმში გამართულ საკვებისა და სასმელების საერთაშორისო გამოფენაში „GastroNord 2018“ ქართული ღვინის მწარმოებელი 9 კომპანია მონაწილობდა, რომელთაც გამოფენაზე სხვადასხვა სახეობის ღვინო, ასევე ჭაჭა და ბრენდი წარადგინეს. ქართული ღვინო აღნიშნულ გამოფენაში პირველად იყო წარმოდგენილი. ღონისძიებას შვედეთის სამეფოში საქართველოს ელჩი მალხაზ კაკაბაძე დაესწრო. ღვინის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებითა და შვედეთში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით, გამოფენაში „GastroNord 2018“ მონაწილეობდნენ ქართული ღვინის მწარმოებელი შემდეგი კომპანიები: „შატო ქუმსიაშვილი“, „ქაპ ჯორჯია/ბრუალე“, „მეღვინეობა ვაზიანი“, „საწნახელი“, „ვარციხის მარანი“, „ბესინი“, KTW, „ჩიგოგიძის ღვინოები“ და „წინანდლის მამული“.

ექსპოზიცია „საქართველო - ღვინის აკვანი“ იაპონიაშიც გაიმართება

11-18 აპრილს იაპონიაში, სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მრჩეველი, დავით ტყემალაძე და ასოციაციის „ქართული ღვინო“ აღმასრულებელი დირექტორი, თინა კეზელი ცნობილი საგამოფენო სივრცის „Terrada Warehouse” და კომპანიის „Sony Music Communications” წარმომადგენლებს შეხვდნენ. შეხვედრაზე მხარეებმა იაპონიაში უმნიშვნელოვანესი ქართული ექსპოზიციის „საქართველო - ღვინის აკვანი“ გამართვის შესაძლებლობა და ორგანიზაციული საკითხები განიხილეს. საგამოფენო

სივრცის „Terrada Warehouse" პროექტების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილეს, რიოტა კიკუჩის, კომპანიის „Sony Music Communications" წარმომადგენელს, შიმეონ სატოს და ღვინის იმპორტის საკონსულტაციო კომპანიის პრეზიდენტს, ვატარუ ივამოტოს ქართული დელეგაციის წევრებმა გამოფენის „საქართველო - ღვინის აკვანი" დეტალური კონცეფცია გააცნეს. იაპონურმა მხარის წარმომადგენლებმა კიდევ ერთხელ დააფიქსირეს აღნიშნული გამოფენის გამართვასთან დაკავშირებით მათი განსაკუთრებული ინტერესი და მხარდაჭერა. იაპონიაში ექსპოზიციის „საქართველო - ღვინის აკვანი" და სხვა თემატური ღონისძიებების გამართვის შესაძლებლობები ქართულმა მხარემ ტოკიოს ეროვნული მუზეუმის „უენო", „ნეძუს" მუზეუმის, ასევე გაკუშიკაიკანის წარმომადგენლებთან გამართულ შეხვედრებზე განიხილეს. იაპონიაში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მრჩეველი დავით ტყემალაძე და ასოციაციის „ქართული ღვინო" აღმასრულებელი დირექტორი თინა კეზელი წარმატებით მოასპარეზე ქართველ სუმოისტებს ლევან გორგაძეს (ტოჩინოშინი) და თეიმურაზ ჯუღელს (გაგამარუ) შეხვდნენ. დავით ტყემალაძემ, საქართველოს ღვინის ეროვნული სააგენტოსგან საჩუქრად ლევან გორგაძეს 5-ლიტრიან ბოთლში, სპეციალურად გამარჯვების აღსანიშნავად ჩამოსხმული საფერავი გადასცა.

ქართული ღვინის OIV-ის ჩამონათვალში შეტანის საკითხი შემდეგ ეტაპზე გადავიდა

ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციის (OIV) სპეციალური ღვინოების ჩამონათვალში ქართული ტრადიციული მეთოდებით დამზადებული ღვინის შეტანის საკითხი, განხილვის შემდეგ ეტაპზე გადავიდა. 11 აპრილს პრეზენტაცია ქართული ტრადიციული მეთოდებით დამზადებული ღვინის შესახებ პარიზში, OIV-ის ოფისში ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ, გიორგი სამანიშვილმა და ღვინის ეროვნული სააგენტოს სადეგუსტაციო კომისიის თავმჯდომარემ, ანა გოდაბრელიძემ წარადგინეს. OIV-ის სამუშაო ჯგუფში გამართული მსჯელობის შემდეგ, აღნიშნული საკითხმა

სამუშაო ჯგუფის მხარდაჭერა მოიპოვა და გადავიდა განხილვის შემდეგ ეტაპზე. 2017 წელს, ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციამ (OIV) დაჩქარებული წესით განხილვაში მიიღო ქართული მხარის წინადადება, რომ ქართული ტრადიციული მეთოდებით დამზადებული ღვინო, ანუ ჭაჭაზე დადუღებული ღვინო (ქარვისფერი ღვინო), OIV-ის სპეციალური ღვინოების ჩამონათვალში შევიდეს. ამჟამად OIV-ის სპეციალური ღვინოების ჩამონათვალში სულ 7 ღვინოა: შუშხუნა, ცქრიალა, შემაგრებული, ლიქიორული, ბუნებრივად ტკბილი ღვინოები, „აისვაინი“ და აპკის ქვეშ დავარგებული ღვინო (ხერესის ტიპი).

სტატია „Food and Wine“-ში

აშშ-ს ერთ-ერთ ყველაზე მრავალტირაჟიან და პოპულარულ ჟურნალ „Food and Wine“-ის 2018 წლის ოქტომბრის ნომერში ქართული ღვინის კულტურასა და ტრადიციებზე ვრცელი სტატია გამოქვეყნდება. ამ მიზნით, აპრილის ბოლოს საქართველოში ერთკვირიანი ვიზიტით ჟურნალ „Food and Wine“-ის აღმასრულებელი რედაქტორი რეი აილი (Ray Isle) და ჟურნალის ფოტოგრაფები იმყოფებოდნენ. ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ ორგანიზებული ტურის ფარგლებში, „Food and Wine“-ის შემოქმედებითმა ჯგუფმა მოინახულა ღვინის მწარმოებელი მცირე და დიდი მარნები ქართლსა და კახეთში. „Food and Wine“-ში ქართული ღვინის შესახებ სტატიის გამოქვეყნება ძალიან მნიშვნელოვანია ქართული ღვინის პოპულარიზაციისა და ცნობადობის გაზრდისთვის მსოფლიო მასშტაბით, ვინაიდან ჟურნალის ბეჭდური ვერსიის ტირაჟი შეადგენს 925 ათასს, ხოლო მიმდევარი სოციალურ მედიაში 2,3 მილიონს აჭარბებს.

ქართული ღვინის წარდგენა პოლონეთში

1 მაისს, პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში ქართული ღვინის დეგუსტაცია-სემინარი (Skin Cintact) ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი კომპანია „Vinisfera"–ს ორგანიზებით გაიმართა. ქართული ღვინის წარდგენას ჟურნალისტები, იმპორტიორები და ღვინის მწერლები დაესწრნენ. დეგუსტაციაზე წარმოდგენილი იყო ქართული ღვინის მწარმოებელი 9 კომპანია: „მევენახეობა ვაზიანი", „ჯიველი", „ვინო მარტვილი", „მანდილი", „თელავის ღვინის მარანი", „ქინძმარაულის მარანი", „გოცას საოჯახო მეურნეობა", „ამირან ვეფხვაძის მეღვინეობა" და „ნიკა ბახიას მარანი". დეგუსტაციას უძღვებოდა „Vinisfera" –ს ხელმძღვანელი მარიუშ კაპჩინსკი.

ქართული ღვინის დეგუსტაცია იაპონიაში

2 მაისს, იაპონიის საპორტო ქალაქ ფუკუოკაში, რომელიც ითვლება ქვეყნის მნიშვნელოვან ინდუსტრიულ ცენტრად, ქართული ღვინის მასშტაბური პრეზენტაცია გაიმართა. ღონისძიების ორგანიზატორი ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი მარკეტინგული კომპანია Red Bridge-ის ხელმძღვანელი, ღვინის მაგისტრი კენიჩი ოჰაში იყო. ქართული ღვინის დეგუსტაციას ასევე იაპონელი ტოპ-სომელიე ჰიროში იშიდა უძღვებოდა. დეგუსტაცია-სემინარს 100-მდე ღვინის პროფესიონალი დაესწრო: სომელიე, ღვინის იმპორტიორი, სასტუმროებისა და რესტორნების წარმომადგენელი.

ქვევრის ღვინის მეორე საერთაშორისო კონკურსი

3-4 მაისს ასოციაცია „ქართული ღვინო“-ს ორგანიზებითა და ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, თბილისში ქვევრის ღვინის მეორე საერთაშორისო კონკურსი გაიმართა. კონკურსზე წარდგენილი იყო 70 როგორც დიდი კომპანიის, ასევე მცირე და საშუალო საოჯახო მარნის 200-მდე ღვინის ნიმუში, რომლებიც ქართველი და უცხოელი ექსპერტებისგან შემდგარმა ჟიურიმ შეაფასა.

ამერიკელი ჟურნალისტების ვიზიტი საქართველოში

ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი მარკეტინგული კომპანია ,,Marq Energie Consulting''-ის ორგანიზებით, მაისის დასაწყიში, საქართველოს ერთკვირიანი ვიზიტით პოპულარული გამოცემების - '“Wine and Spirits“ და „Dow Jones” ჟურნალისტები ეწვიენ. ტურის ფარგლებში სტუმრები მოინახულეს ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანიები ქართლში, იმერეთში, სამეგრელოსა და კახეთში: „ლაპატი ვაინსი“, „ნიკი ანთაძის ღვინოები“, „შალვინო“, „მეღვინეობა დანიელი“, „კორპორაცია ქინძმარაული“, „ნაოტარი“, „მეღვინეობა შუმი“, „გოცას ღვინოები“, „ვარციხე“, „არჩილ გუნიავას მარანი“ და „ამირან ვეფხვაძის მარანი“. ვიზიტის შედეგად, მიმიდინარე წლის შემოდგომზე, ქართული ღვინის შესახებ სტატიები დაიბეჭდება გამოცემებში „Wine and Spirits“ და „Dow Jones”, რაც ხელს შეუწყობს ქართული ღვინის ცნობადობის ამაღლებასა და პოპულარიზაციას აშშ-ს ბაზარზე.

ღვინის პრფესიონალების ჯგუფი საქართველოში იმყოფებდა

ამერიკელი ღვინის პროფესიონალების 9-კაციანი ჯგუფი მაისის დასაწყისში ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი კომპანია ,,TastingWorks''-ის დამფუძნებლის, ღვინის მაგისტრის ლიზა გრანიკის ხელმძღვანელობით საქართველოში იმყოფებოდა. ვიზიტის ფარგლებში თბილისში დეგუსტაცია („Speed tasting”) მოეწყო, სადაც

ქართული ღვინის მწარმოებელ 30-მდე კომპანიას შესაძლებლობა მიეცა წარედგინა საკუთარი პროდუქცია და კონსულტაციები მიეღოთ სტუმრებისგან, თუ როგორ უნდა მოხდეს მათი ღვინის ამერიკის ბაზარზე რეალიზაცია და დამკვიდრება. ჯგუფის წევრები ესტუმრნენ ქართული ღვინის მწარმოებლებს ქართლსა და კახეთში.

ახალი ღვინის ფესტივალი-2018

12 მაისს, საქართველოს "ღვინის კლუბის" ორგანიზებით, რიგით მე-9 „ახალი ღვინის ფესტივალი" მთაწმინდის პარკში გაიმართა. ფესტივალში მონაწილე ღვინის მწარმოებლებმა სტუმრებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონის 2017 წლის მოსავლის ღვინოები დააგემოვნებინეს. ფესტივალზე სულ 200-მდე მონაწილე, მათ შორის, 70 ახალი ღვინის საწარმო იყო წარმოდგენილი. ფესტივალს დაესწრო უამრავი ტურისტი, უცხოელი და ქართველი ღვინის პროფესიონალი. ღვინის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებით, ფესტივალს ღვინის პროფესიონალები და ღვინის თემით დაინტერესებული ჟურნალისტები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან დაესწრნენ. ღონისძიების ორგანიზატორია საქართველოს „ღვინის კლუბი", მხარდამჭერები გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ღვინის ეროვნული სააგენტო და თბილისის მერია.

ქართული მევენახეობა-მეღვინეობის კულტურის მორიგი საერთაშორისო აღიარება

6 მაისს, იტალიის მეღვინეობით ცნობილ პიემონტეს რეგიონში გამართულ ღონისძიებაზე „მსოფლიოს ყველაზე მშვენიერი და მნიშვნელოვანი მევენახეობის ლანდშაფტების მქონე ქვეყნის“ საპატიო სიგელი საქართველოს გადაეცა. ქართული დელეგაციის წარმომადგენლებს დიპლომები ქალაქ ალბას მერმა ბატონმა მაურიციო მარელომ გადასცა. დაჯილდოება გაიმართა ეგიდით - „იუნესკოს საგანძური“. გასულ წლებში ანალოგიური ჯილდოები გადაეცა ტოკაის (უნგრეთი), მენდოზას (არგენტინა) და ბურგუნდიის (საფრანგეთი) მეღვინეობის სახელგანთქმულ რეგიონებს. ღონისძიების ორგანიზატორი იყო პიემონტეს მეღვინეთა საზოგადოება „Enoteca Regionale Piemontese Cavoir“ და მისი პრეზიდენტი, სენატორი ტომაზო ძანოლეტი.

ქვევრის ღვინის წარდგენა ბერლინის გამოფენაზე

13-14 მაისს, გერმანიის დედაქალაქ ბერლინში მიმდინარე ბუნებრივი ღვინოების საერთაშორისო გამოფენაზე ,,RAW WINE” (The Artisan Wine Fair) ქვევრის ღვინის მწარმოებელი 8 კომპანია მონაწილეობდა. ღვინის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებითა და გერმანიაში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით, ბერლინში წარმოდგენილი იყო შემდეგი კომპანიები: „გოცას საოჯახო მეღვინეობა“, „ნათენაძის მარანი“, „ველინო“, „ტიბაანი“, „აი ღვინო“, „ნაოტარი“, „რაჭული“ და „ბოლნური“.

საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლის იუბილე

საქართველოს პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის დაარსებიდან 100 წლის საიუბილეო დღეების ფარგლებში ღვინის ეროვნულ სააგენტოში რამდენიმე ღონისძიება გაიმართა: 16 მაისს ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილეები ანდრო ასლანიშვილი და ლევან მეხუზლა საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მევენახეობა-მეღვინეობის ფაკულტეტის სტუდენტებს შეხვდნენ და ქართული მეღვინეობის განვითარებისთვის 1918-1921 წლების მნიშვნელობასა და დარგში არსებულ თანამედროვე მდგომარეობასა და გამოწვევებზე ესაუბრნენ. ასევე, 17 მაისს ღვინის ეროვნულ სააგენტოს "ქართული სასწავლებელ - თბილისის“ მოსწავლეები და 18 მაისს, მევენახეობა-მეღვინეობის კოოპერატივების წარმომადგენლები ესტუმრნენ.

26 მაისს თელავის ცენტრში ღვინის ფესტივალი გაიმართა, რომელშიც 30-მდე ღვინის კომპანია და მცირე მარანი მონაწილეობდა.

ქართული ღვინის წარმატება პოლონეთში

18-19 მაისს, პოლონეთის ქალაქ კრაკოვში გამართულ ღვინის საერთაშორისო

კონკურსში „GALICJA VITIS - 2018“ ქართულმა ღვინოებმა უმაღლესი ჯილდოები - 2 ტროფი და 9 ოქროს მედალი მოიპოვა. ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, სულ კონკურსზე წარდგენილი იყო ქართული ღვინის მწარმოებელი 5 კომპანიის 18 სახეობის ქართული ღვინო. აღნიშნული კონკურსი ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციის (OIV)

ეგიდით იმართება. კონკურსის ჟიურიში ღვინის ეროვნული სააგენტოს მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე თამთა ყველაიძე იყო მიწვეული.

ესტონელების ჯგუფი ღვინის ეროვნულ სააგენტოს ეწვია

23 მაისს, ესტონეთის დედაქალაქ ტალინის სახალხო უნივერსიტეტის (Tallinna Rahvaülikool) ლექტორის აუგუსტ ალოპის ინიციატივით, საქართველოში ღვინის ტური მოეწყო. 24-კაციანი ჯგუფი ღვინის ტურის ფარგლებში დღეს ღვინის ეროვნულ სააგენტოს ეწვია. სააგენტოს მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსმა ირაკლი ჩოლობარგიამ ესტონელ სტუმრებს ღვინის ეროვნულ სააგენტოში განთავსებული ღვინის მარანი, ენოთეკა და ღვინის მუზეუმი დაათვალიერებინა. მანვე სტუმრებისთვის ქართული ღვინის ისტორიისა და კულტურის შესახებ პრეზენტაცია წარმოადგინა.

OIV-ის მაგისტრანტების ვიზიტი საქართველოში

23-28 მაისს, ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციის (OIV) ღვინის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები ქართული ღვინის კულტურისა და თანამედროვე მეღვინეობისს გაცნობის მიზნით საქართველოს ეწვივნენ. გაცნობითი ტურის ფარგლებში მაგისტრანტები ეწვივნენ ქართლს, კახეთს, სადაც მოინახულეს ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანიები, გაეცნენ ქვევრის დამზადების ტექნოლოგიას, დააგემოვნეს სხვადასხვა სახეობის ქართული ღვინოები.

ქართული ღვინის დეგუსტაცია პოლონეთში

24 მაისს, პოლონეთის ქალაქ ტორუნში ქართული ღვინის დეგუსტაცია სახელწოდებით - „ქართული ღვინო პოლონეთში“ - გაიმართა. ღონისძიების ორგანიზატორი ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი კომპანია „Vinisfera” იყო. დეგუსტაციაზე მიწვეული იყვნენ პროფესიონალები: ღვინის იმპორტიორები, დისტრიბუტორები, რესტორნებისა და მაღაზიების მფლობელები, ღვინის ბლოგერები, სულ 30-მდე სტუმარი.დეგუსტაციაზე წარმოდგენილი იყო სხვადასხვა სტილის ღვინოები, როგორ კლასიკური წესით დამზადებული, ისე ქვევრის ღვინოები. ქართული ღვინის პრეზენტაციას „Vinisfera”-ს ხელმძღვანელი მარიუს კაპჩინსკი უძღვებოდა.

ქართული ღვინის წარდგენა ჰონგ-კონგში

29-31 მაისს ჰონგ-კონგში საერთაშორისო გამოფენა “Vinexpo HK- 2018” გაიმართა, რომელზეც ქართული ღვინის მწარმოებელი 13 კომპანია იყო წარმოდგენილი. ქართული კომპანიებისთვის აღნიშნულ გამოფენაში მონაწილეობა საუკეთესო შესაძლებლობაა, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ბაზარზე მოიძიონ ახალი იმპორტიორები, დაამყარონ ბიზნეს-ურთიერთობები ახალ პარტნიორებთან. ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, საქართველოდან წელს გამოფენაში მონაწილოებდნენ კომპანიები: „ჯიმშერი“, „ასკანელი ძმები“, „GWS“, „შატო მუხრანი”, „ბესინი“, „დუგლაძეების ღვინის კომპანია“, „მეღვინეობა ხარება“, „ზეარისი“, „თელიანი ველი“, „ჩიგოგიძე ვაინსი“, „თბილღვინო“, „შპს ქინძმარაული“ და „კორპორაცია ქართული ღვინო“.

ქართული ღვინის თვე აშშ-ში

ივნისში აშშ-ს რამდენიმე ქალაქში ქართული ღვინის დეგუსტაცია-პრეზენტაციები გაიმართა. ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი კომპანიების „Tastingwork"-ისა და ,,Marq Energie Consulting''-ის ორგანიზებით, ნიუ-იორკში, სან-ფრანცისკოში, ჰიუსტონსა და პორტლენდში ღვინის პროფესიონალებს შესაძლებლობა ჰქონდათ დაეგემოვნებინათ სხვადასხვა სახეობის ქართული ღვინოები. დეგუსტაციების პარალელურად იმართებოდა სემინარები ქართული ღვინის კულტურისა და ისტორიის შესახებ. აღნიშნული კამპანიის ფარგლებში, „Tastingwork"-ის ორგანიზებით დეგუსტაცია 4 ივნისს გაიმართა ნიუ-იორკში, სადაც „Tastingwork"-ის დამფუძნებელმა, ღვინის მაგისტრმა ლიზა გრანიკმა სემინარი ქვევრის ღვინოზე (Inside The Qvevri) წაიკითხა. დეგუსტაციაზე წარმოდგენილი იყო 30-მდე ქართული ღვინის მწარმოებელი როგორც მცირე მარნის, ისე დიდი კომპანიის ღვინოები. 11 ივნისს „Tastingwork"-ის ორგანიზებით დეგუსტაცია გაიმართა სან-ფრანცისკოში, ღვინის სკოლაში, ხოლო ,,Marq Energie Consulting''-ის ორგანიზებით ქართული ღვინის დეგუსტაციები 12 ივნისს პორტლენდში და 13 ივნისს ჰიუსტონში ჩატარდა.

ქართული ღვინის დეგუსტაცია იაპონიაში

იაპონიის ქალაქ უცუნომიაში ქართული ღვინის დეგუსტაცია-სემინარი გაიმართა, რომელსაც ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი მარკეტინგული კომპანია „Red Bridge"-ის ხელმძღვანელი, ღვინის მაგისტრი კენიჩი ოჰაში და იაპონელი ტოპ-სომელიე მოტოიკი ოკოში უძღვებოდნენ. ღონისძიებას 50-მდე სტუმარი დაესწრო: დისტრიბუტორები, რესტორნებისა და სავაჭრო ქსელების წარმომადგენლები. სემინარზე წარმოდგენილი იყო 6 ქართული ღვინის მწარმოებელი

კომპანიის ღვინოები: „შატო მუხრანი“ - რქაწითელი, „თელედა/ორგო“ - რქაწითელი, „შუმი/ხაზი იბერიული“ - მწვანე, „შალაური“ - მწვანე“, „შალაური“ - საფერავი“ და „შუმი/ხაზი იბერიული“ - მუკუზანი. სემინარის დასრულების შემდეგ, სტუმრებს შესაძლებლობა მიეცათ დაეგემოვნებინათ კიდევ 20-მდე დასახელების ქართული ღვინო. კენიჩი ოჰაშის ინფორმაციით, სტუმართაგან 14-მა უკვე გამოთქვა მზადყოფნა, რომ ქართული ღვინო დაამატოს საკუთარი გაყიდვების სიას.

WinExpo Georgia-2018

14-16 ივნისს ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების მე-11 საერთაშორისო გამოფენა WinExpo Georgia-2018 გაიმართა. მასში 12 ქვეყნის 150-მდე კომპანია მონაწილეობდა: საქართველო, საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი, პორტუგალია, ავსტრია, აშშ, გერმანია, უნგრეთი, უკრაინა, სომხეთი და რუსეთი. WinExpo Georgia რეგიონში სფეროს ერთ-ერთი უმსხვილესი გამოფენაა, რომელიც ფოკუსირებულია ღვინოზე, ალკოჰოლურ სასმელებზე და მათი წარმოებისთვის საჭირო მასალებსა და მომსახურეობებზე. გამოფენის ფარგლებში ღვინის მე-10 საერთაშორისო კონკურსი ჩატარდა. საერთაშორისო ჟიურის წევრებმა „ტროფის“, ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალოსანი ღვინოები რამდენიმე კატეგორიაში გამოავლინეს. კონკურსზე 60 კომპანიის 250-მდე ნიმუში იყო წარდგენილი. გამარჯვებული ღვინოების დაჯილდოება გამოფენის 14 ივნისს გალა ვახშამზე გაიმართა.

საერთაშორისო სომელიეთა ასოციაციის გენერალური ასამბლეა

18-21 ივნისს თბილისში, საქართველოს სომელიეთა ასოციაციისა და სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებით, საერთაშორისო სომელიეთა ასოციაციის 49-ე ყოველწლიური გენერალური ასამბლეა გაიმართა. ღონისძიების ფარგლებში გაიმართა საუკეთესო ქვევრის ღვინოების თემატური

დეგუსტაცია, საფერავის ძირითადი მახასიათებლების დადგენის საერთაშორისო სესია, მასტერ-კლასი ქართულ ღვინოზე, პროფესიული დეგუსტაცია "სრულიად საქართველოს საუკეთესო ღვინოები ერთ სივრცეში", ნანა ჯორჯაძის ფილმის "ღვინის ნულოვანი მერიდიანი" ეროვნული პრემიერა და სხვა ღონისძიებები. 2018 წლის გენერალური ასამბლეის ჩატარების უფლება საქართველოს სომელიეთა ასოციაციამ რამდენიმე წლის წინ მოიპოვა. საერთაშორისო სომელიეთა ასოციაცია დაარსდა 1969 წელს საფრანგეთში და აერთიანებს მსოფლიოს 62 ქვეყნის სომელიეთა ეროვნულ ასოციაციებს. საქართველოს სომელიეთა ასოციაცია მათ რიცხვს 2014 წელს შეუერთდა. ყოველწლიურად საერთაშორისო სომელიეთა ასოციაცია მართავს გენერალურ ასამბლეას, სადაც იკრიბებიან წევრი ქვეყნების სომელიეთა ასოციაციების პრეზიდენტები, ღვინის ჟურნალისტები, ბაიერები და ღვინის სფეროს სხვა წარმომადგენლები.

ბრიტანელი ღვინის პროფესიონალების ვიზიტი საქართველოში

23-27 ივნისს დიდი ბრიტანელი ღვინის მაგისტრი, ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი კომპანია ,,Swirl Wine Group"-ის ხელმძღვანელი სარა ებოტი (Sarah Abbott), ღვინის პროფესიონალების ჯგუფთან ერთად საქართველოს ეწვია. ტურის ფარგლებში ღვინის პროფესიონალები ესტუმრნენ ქართული ღვინის მწარმოებელ კომპანიებსა და მცირე მარნებს: „ორგო", „მეღვინეობა შუმი", „კახური ღვინის მარანი", „კახა ჭოტიაშვილის მარანი", „ბაბანეურის მარანი" და „ლაგვინარი", სადაც მათ დააგენოვნეს სხვადასხვა სტილის ღვინოები, გაეცნენ ქართული ღვინის დაყენების ტექნოლოგიას.ბრიტანელი პროფესიონალების წინაშე ქართული ღვინის წარდგენა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ბრიტანეთი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი იმპორტიორი და ღვინის მომხმარებელი ქვეყანაა.

ექსპორტი

სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, 2018 წლის პირველ ნახევარში, საქართველოდან მსოფლიოს 48 ქვეყანაში ექსპორტირებულია 38,2 მლნ ბოთლი ღვინო (0,75 ლ), რაც 21%-ით აღემატება 2017 წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელს. ექსპორტირებული ღვინის ღირებულება 90,3 მლნ აშშ დოლარია, ზრდამ გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 28% შეადგინა.

ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების ექსპორტის ზრდის ბოლო წლების ტენდენცია მიმდინარე წლის პირველი ნახევრის მონაცემებითაც შენარჩუნებულია, რაც მეღვინეობის დარგში გატარებული სწორი სახელმწიფო პოლიტიკისა და შესაბამისი სამთავრობო სტრუქტურებისა და კერძო სექტორის შეთანხმებული საქმიანობის შედეგია. ქართული ღვინის ექსპორტი გაზრდილია ქართული ღვინის სტრატეგიულ ბაზრებზე როგორც ევროპისა და აზიის მიმართულებით, ისე აშშ-ში და სხვა ტრადიციულ ბაზრებზე.

2018 წლის იანვარ-ივნისის მონაცემებით ექსპორტის ზრდა აღსანიშნავია შემდეგ ქვეყნებში: იაპონია - 200% (130 638 ბოთლი), ჩეხეთი - 134% (30456), ყირგიზეთი 81% (140370), სამხრეთ კორეა - 78% (31650), ნიდერლანდები - 68% (38799), დიდი ბრიტანეთი - 67% (46782), გერმანია - 43% (286054), უკრაინა - 41% (4191217), ყაზახეთი - 42% (1652292), ლატვია - 32% (905982), პოლონეთი - 30% (1573328), რუსეთი - 24% (24022113), ესტონეთი - 22% (294900), ლიეტუვა - 9% (188052), აშშ - 7% (188762) და სხვა.

ექსპორტიორი ქვეყნების პირველი ხუთეულია: რუსეთი (24 022 113), უკრაინა (4 191 217), ჩინეთი (2 975 804), ყაზახეთი (1 652 292) და პოლონეთი (1 573 328).

საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა მოცულობის ღვინის ექსპორტი 190-მა კომპანიამ განახორციელა.

ამასთან, იანვარ-ივნისში საქართველოდან მსოფლიოს 20 ქვეყანაში ექსპორტირებულია 8,4 მლნ ბოთლი (0,5 ლ) ბრენდი, რაც 23%-ით აღემატება გასული წლის 6 თვის მონაცემებს. ბრენდის ექსპორტით მიღებულმა შემოსავლებმა 17 მლნ აშშ დოლარი შეადგინა - ზრდამ 6% შეადგინა.

საანგარიშო პერიოდში საქართველოდან მსოფლიოს 20 ქვეყანაში ექსპორტირებულია 178 ათასი ბოთლი (0,5 ლ) ჭაჭა, ზრდამ შეადგინა 100%. სულ ექსპორტირებულია 530 ათასი აშშ დოლარის ღირებულების ჭაჭა, რაც 116%-ით აღემატება გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს.

სულ, ღვინის, ბრენდის, ჭაჭის, საბრენდე სპირტისა და ჩამოსასხმელი ბრენდის ექსპორტით მიღებულმა შემოსავლებმა წლის პირველ ნახევარში 148,3 მლნ აშშ დოლარს მიაღწია, რაც 21%-ით აღემატება გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

ვენახების კადასტრის პროგრამა

ვენახების კადასტრის პროგრამის განხორციელება გურჯაანის მუნიციპალიტეტში დაიწყო. ღვინის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებმა პროგრამის პრეზენტაცია გურჯაანში გამართეს. შეხვედრას ადგილობრივი მუნიციპალიტეტისა და მერიის წარმომადგენლები, სოფლის რწმუნებულები და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გურჯაანის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის თანამშრომლები დაესწრნენ. გურჯაანის მუნიციპალიტეტში ვენახების კადასტრის პროგრამას ტენდერში გამარჯვებული კომპანია „რუკა მაპინგი“ განახორციელებს, რომელიც უკვე შეუდგა მონაცემების შეკრებასა და ორთო-ფოტოების გადაღებას. შეხვედრას პორტუგალიელი ექსპერტი ანა ლუჟი დაესწრო, რომელიც 2018-2019 წლებში ღვინის ეროვნული სააგენტოს კონსულტანტად იმუშავებს ვენახების კადასტრის პროგრამის განხორციელების მიმართულებით.

კახეთის რეგიონის ადგილობრივი მევენახეებისა და მეღვინეების ინფორმირების მიზნით, მომზადდა საინფორმაციო ლიფლეტი და პოსტერი. საანგარიშო პერიოდში სისტემატურ რეჟიმში მიმდინარეობს თელავისა და ახმეტის მუნიციპალიტეტების ვენახების კადასტრის მონაცემთა ბაზის კორექტირება და გამართვა.

ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის კვლევის პროექტი

მიმდინარე წლის მეორე კვარტალში:

- საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიური ჯგუფის მიერ, ტორონტოს უნივერსიტეტის არქეოლოგებთან ერთად 6 მაისი-16 ივნისის პერიოდში განხორციელდა არქეოლოგიური გათრები ძეგლებზე „გადაჭრილი გორა“ და „შულავერის გორა“ (ძვ. წ. მე-6 ათასწლეული) მევენახეობა - მეღვინეობასთან დაკავშირებული ახალი მასალის მოპოვების მიზნით. გათხრილი ტერიტორიის ფართობმა შეადგინა 190 m^2, სადაც აღმოჩენილია მნიშვნელოვანი არქეოლოგიური არტეფაქტები. მათ შორის, პირველად აქამდე წარმოებულ გათხრებს შორის, მთლიანი თიხის ჭურჭელი. შესრულდა ველზე მოპოვებული ამ არტეფაქტებისა და კონტექსტების გრაფიკულ და ელექტრონულ ფორმატში დამუშავება, განხორციელდა საანალიზო ნიმუშების აღება პალინოლოგიური, პალეობოტანიკური, რადიოკარბონატული, მოლეკულური, ბიო-მოლეკულური, ლითოლოგიური, ფიტოლიტური და სხვა ტიპის ინტერდისციპლინარული კვლევებისათვის, რომლებიც შესრულდება საქართველოსა და უცხოეთის პარტნიორ ინსტიტუტებში. გათხრების ბოლოს ძეგლი დაკონსერდა.
- მოპოვებული არქეოლოგური მასალის შემდგომი ეტაპის ლაბორტორიული კვლევების გაგრძელება შეთანხმდა ქართველ და უცხოელ მკვლევარებთან.
- ველური ვაზის დაფესვიანების ხარისხის დადგენის მიზნით, დაიწყო ლაბორატორიული კვლევები კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში, რომლის შედეგებიც გამოყენებული იქნება ამ მცენარის მინდვრის კოლექციის გაშენების დროს.
- პროექტის შედეგების პოპულარიზაციისა და ფართო აუდიტორიის გაცნობის მიზნით, მომზადდა და წარდგენილი იყო მოხსენების რეზიუმე ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციის (OIV) 41-ე მსოფლიო კონგრესისათვის სათაურით: ‘Progress for Research of Grape and Wine Culture in Georgia, the South Caucasus’.

ლაბორატორიული შემოწმება

ღვინის ეროვნული სააგენტოს სადეგუსტაციო კომისიამ ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლური სასმელების ორგანოლეპტიკური ტესტირების მიზნით, 64

დეგუსტაცია ჩაატარა. სულ წარმოდგენილი იყო 2374 ნიმუში, მათგან 34 შეფასდა უარყოფითად, დანარჩენი დადებითად.

სერტიფიცირება

საექსპორტო დოკუმენტაციის მისაღებად სერტიფიცირებაზე შემოვიდა სულ 1861 განაცხადი. შემოსული განაცხადების საფუძველზე გაიცა სხვადასხვა დანიშნულების დოკუმენტაცია: VI-1 ფორმის სერტიფიკატი / ევროგაერთიანების ქვეყნებისათვის/ - 1082 ცალი; შესაბამისობის სერტიფიკატი 1671 ცალი; სხვადასხვა ალკოჰოლიანი სასმელების მწარმოებელ კომპანიაზე, ღვინის ეროვნული სააგენტოს სერტიფიცირების სამმართველოს მიერ, გაცემულია სულ 2753 სერტიფიკატი.

სახელმწიფო კონტროლი და ინსპექტირება

საანგარიშო პერიოდში ალკოჰოლური სასმელების კომპანიებში განხორციელდა როგორც საექსპორტო ადგილწარმოშობის, ასევე სუფრის ღვინოებისა და ღვინის ბრენდის (ლოტთან მიმართებაში) საინსპექციო კონტროლი: ღვინის მწარმოებელ 8 კომპანიაში განხორციელდა სახელმწიფო კონტროლი, ღვინის მწარმოებელ 8 კომპანიაში - საინსპექციო კონტროლი.

ღვინის ეროვნულ სააგენტოს მიერ განხორციელებული საქმიანობა აქტიურად შუქდება ბეჭდურ, ელექტრონულ, სოციალურ და სატელევიზიო მედიაში (http://georgianwine.gov.ge/, https://www.facebook.com/Wines.of.Georgia/, https://www.facebook.com/LEPL-National-Wine-Agency-of-Georgia, https://twitter.com/Georgian_wine, https://www.youtube.com/channel/UC0CPwXo8f7-QA329kmicFwQ). მზადდება ყოველთვიური საინფორმაციო ბიულეტენი, რომელიც ეგზავნება ღვინის კომპანიებსა და სააგენტოს კონტრაქტორ ორგანიზაციებს.